ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3635148

ნომერი: AR1551649

თარიღი : 23.10.2017

გაცემის თარიღი : 24.10.2017

გაცნობის თარიღი : 24.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა I ასპინძა , N 13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა ჩიხრაძე პ/ნ 01003007915
- ქ.თბილისი,q.wamebuli-bochorma, 50/18, bina16

ორგანიზაცია:
- შპს,,ბიზნესის მმართვის ჯგუფი" კოდი: 404391467

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 სექტემბრის №3487330 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 23 ოქტომბრის №AR1551649 განცხადებით მომართა მოქ. ლაშა ჩიხრაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 4 სექტემბრის №3487330 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 სექტემბრის №3487330 ბრძანებით დამტკიცდა: ქ. თბილისში, ქუჩა I ასპინძის N13-ში, შპს ,,საგზაო ჩუღურეთის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ს/კ: N01.16.04.054.002, სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: მიწის ნაკვეთისთვის მინიჭებულ პარამეტრებში არ არის მითითებული კ1 და კ3 კოეფიციენტების მაჩვენებლები. შესაბამისად, უნდა დაფიქსირდეს კ1 კოეფიციენტის მაჩვენებელი 0.5, კ2 კოეფიციენტის მაჩვენებელი 2.0 და კ3 კოეფიციენტების მაჩვენებელი 0.3.
სამსახურმა 2017 წლის 12 ოქტომბრის №AR1548638 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა შეადარა სამსახურის 2017 წლის 4 სექტემბრის №3487330 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2016 წლის 14 ივლისის №2714192 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 სექტემბრის №3487330 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: მიწის ნაკვეთისთვის მინიჭებულ პარამეტრებად დაფიქსირდეს: კ1=0.5; კ2=2.0; კ3=0.3.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 სექტემბრის №3487330 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 სექტემბრის №3487330 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.